თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №82

2011 წლის 18 აპრილი

ქ. რუსთავი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი და დანართები (№1, №2, №3).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2009 წლის 1 ივნისის №237 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კ. გურგენიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 8 ივნისის დადგენილება №93 - ვებგვერდი, 10.06.2011 წ.

რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი (შემდგომში – წესი) აწესრიგებს რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შემდგომში – საწარმოები) კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (შემდგომში – ძირითადი საშუალებები) განკარგვის პროცესს.

მუხლი 2. ძირითადი საშუალებების განკარგვის ფორმები

1. ძირითადი საშუალებების განკარგვის ფორმებია:

ა) ბალანსიდან ჩამოწერა;

ბ) დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა;

გ) გაყიდვა;

დ) ძირითადი საშუალებების საწარმოს კაპიტალიდან ამოღება, ან/და სხვა საწარმოს კაპიტალში შეტანა.

2. საწარმოს ხელმძღვანელის გდაწყვეტილებით და რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობასთან შეთანხმების შემდეგ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული განკარგვისა და გადაცემის სხვა ფორმებიც.

მუხლი 3. ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერა

1. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, გარდა საზოგადოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამოწერისა, რაც ხორციელდება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თანხმობა საჭიროა იმ შემთხვევაშიც, თუ წლის განმავლობაში ჩამოსაწერი მოძრავი ძირითადი საშუალებების (საშუალების) ჯამური ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს მთელი ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულების 10%-ს.

2. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება ყოველი წლის ბოლოს ჩატარებული აქტივებისა და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის საფუძველზე, ხოლო ჩამოწერის შედეგები აისახება საწარმოს წლიურ ბალანსზე. გამონაკლის შემთხვევებში, თუ ამას საწარმოს ინტერესები მოითხოვს, ძირითადი საშუალებების ჩამოწერა შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე წლის სხვა პერიოდშიც.

3. ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით საწარმოს ხელმძღვანელის შესაბამისი წერილობითი გადაწყვეტილებით იქმნება კომისია, რომელშიც შედიან საწარმოს ხელმძღვანელები, ბუღალტერი და სხვა თანამშრომლები, რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს მოწვეული პირიც.

4. კომისია სწავლობს ამორტიზებული ან ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოწერა) ძირითადი საშუალების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, ასაბუთებს ძირითადი საშუალების საწარმოს ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას, აფორმებს ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების დადგენის (№1 და №2 დანართი) და ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის აქტებს (№3 დანართი) თითოეულ ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე, რომლის საფუძველზეც ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოო მარაგების სახით ბალანსზე აყვანა.

5. საწარმოს ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულების დადგენის აქტების შემოწმებასა და დადასტურებას შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ, რის შემდეგაც იგი ამტკიცებს კომისიის მიერ ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებულ ყველა აქტს.

6. დაუმთავრებელი მშენებლობის ან ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი შენობა-ნაგებობის ჩამოწერისას, საჭიროა საექსპერტო დასკვნა.

7. ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ნაწილები და სხვა) გაყიდვა უნდა განხორციელდეს საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით.

8. საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელობა შესაბამისი სააუქციონო კომისიის მეშვეობით.

9. გაყიდვიდან მიღებული თანხა ირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

10. ჩამოწერის მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საწარმოს დირექტორი.

მუხლი 4. ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა

1. უძრავი ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში ადრე გადაცემული და/ან გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა აღემატება 50 $მ^2$-ს და/ან შეადგენს იმ ქონების (შენობის მიწის ნაკვეთის და ა.შ) საერთო ფართი 10%-ზე მეტს, რომელშიც გადასაცემი ფართია განთავსებული, აღნიშნული ფართის გადაცემა წინასწარ საჭიროებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოსთან შეთანხმებას. ასეთი შეთანხმება საჭიროა იმ შემთხვევაშიც, თუ წლის განმავლობაში დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადასაცემი მოძრავი ძირითადი საშუალებების (საშუალების) ჯამური ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულების 5%-ს.

2. ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით.

3. ძირითადი საშუალებების საჯარო ან ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით წინადადებას და სამართლებრივი აქტის პროექტს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერი წარუდგენს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს. გადაწყვეტილებას კი იღებს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულო.

4. საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია მერს წარუდგინოს სააუქციონო პირობები, საკრებულოს მიერ დადგენილ, ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად.

5. დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, საჯარო ან ელექტრონული აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის მიერ გადახდილ უნდა იქნეს ბეს თანხა, რომელიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთი თვის გადასახადის (ქირა, საიჯარო ქირა და ა.შ) ოდენობას და აგრეთვე წარმოადგენს დროებითი სარგებლობიდან გამომდინარე, მოსარგებლის ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებას.

6. იმ ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა, რომელთათვისაც ნორმატიული აქტით დამტკიცებულია დროებით სარგებლობაში გადაცემის ღირებულება არ საჭიროებს საკრებულოს თანხმობას, საჯარო ან ელექტრონული აუქციონის მოწყობას და ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში საჯარო ან ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით წინადადებას და სამართლებრივი აქტის პროექტს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერი წარუდგენს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს. გადაწყვეტილებას კი იღებს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულო.

8. საწარმოს ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონების გაყიდვის შემთხვევაში საწარმოს/ქონების შემძენი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს/ქონების რეალიზაციამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები), რაც ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა და უნდა მიეთითოს ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებში. ეს პირობა შესაძლებელია არ იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ საკრებულოს წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

9. საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია, საკრებულოს წლიურ შედეგებთან ერთად წარუდგინოს ინფორმაცია ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის შედეგებისა და გადაცემული ქონების მდგომარეობის შესახებ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 8 ივნისის დადგენილება №93 - ვებგვერდი, 10.06.2011 წ.

მუხლი 5. ძირითადი საშუალებების საწარმოს კაპიტალიდან ამოღება და/ან სხვა საწარმოს კაპიტალში შეტანა

1. საწარმოს კაპიტალის გაზრდის ან/და შემცირებასთან დაკავშირებით წინადადებას და სამართლებრივი აქტის პროექტს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერი წარუდგენს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს, გადაწყვეტილებას კი იღებს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულო.

2. საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შეტანა საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ დამოწმებულ აუდიტორულ დასკვნას.

3. საწარმოს მიერ სხვა საწარმოთა კაპიტალში ქონებრივი შენატანის განხორციელება ხდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით საკრებულოსთან შეთანხმებით. შესათანხმებელ საკითხთან დაკავშირებით წინადადებას საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მერი.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 8 ივნისის დადგენილება №93 - ვებგვერდი, 10.06.2011 წ.

მუხლი 6. ძირითადი საშუალებების გაყიდვა

1. ძირითადი საშუალებების გაყიდვა ხდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით საკრებულოსთან შეთანხმებით. შესათანხმებელ საკითხთან დაკავშირებით წინადადებას საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მერი.

2. ძირითადი საშუალებების გაყიდვა ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით.

3. ძირითადი საშუალებების საჯარო ან ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე გაყიდვა ხდება საკრებულოს გადაწყვეტილებით.

4. საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია მერს წარუდგინოს სააუქციონო პირობები, საკრებულოს მიერ დადგენილ ძირითადი საშუალებების გაყიდვის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად საკრებულოსთან შესათანხმებლად.

5. საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით გაყიდვას ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ შექმნილი შესაბამისი სააუქციონო კომისია.

6. ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხა ირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

7. ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მისაღები თანხის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ხელმძღვანელი, მერთან კონსულტაციების შემდეგ საკრებულოს თანხმობით.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 8 ივნისის დადგენილება №93 - ვებგვერდი, 10.06.2011 წ.

მუხლი 7. საჯარო აუქციონის წესი

1. საჯაროან ელექტრონული აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელობა.

2. საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ჩატარებისას გამოიყენება „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/ სარგებლობით გადაცემის წესის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთვის საკრებულოს 2010 წლის 9 სექტემბრის №21 დადგენილება და სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების მინისტრის 2011 წლის 10 თბერველის №1–1/172 ბრძანება, ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით.

მუხლი 8. ძირითადი საშუალებების ღირებულების განსაზღვრა

1. ძირითადი საშუალებების ღირებულების განსაზღვრისას ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით, გამოიყენება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს №659 ბრძანებულება.

2. ძირითადი საშუალებების განკარგვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდეს 6 თვის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჭიროებს საზოგადოების რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობასთან შეთანხმებას, ეს ვადა იანგარიშება შესაბამისი თანხმობის გაცემის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში საწარმოს ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის შესახებ ხელახალი გადაწყვეტილების მიღება ხდება, ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

დანართი №1

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის ---------- მდგომარეობით

საწარმოს დასახელება ----------

N	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთის გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთის გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრ.5-გრ.9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. N295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება-ში გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასებაში შემდეგ (ლარი)	საძირტი ზალანსო ანრიცხის ნარჩენი ძირითადი ფონდის სრული ალდგენა ზე	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის წლიური ნორმა %	საბალანსო ფაქტობრივი მდგომარეობით %	საბალანსო ბუღალტრული მდგომარეობით %	ბუღალტრული მონაგებით ლარი	ლარი	ქონების ადგილსამყოფელი (ნომერი ვალუტის გათვალისწინებით)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

კომისიის წევრები: 1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

ვიმტკიცებ:

კომისიის თავმჯდომარე

მ.ა.

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1997 წლის 1 ივლისის შემდეგ, გრ.5-დან გრ.11-ის ჩათვლით არ ივსება.

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარებისა და სხვ.) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის ---------- მდგომარეობით

საწარმოს დასახელება ----------

	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაშია შესვლის წელი	ექსპლუატაციაშიყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრ.5 _გრ. 9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის (09.06. 1997 წ. N295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	საამორტიზაციო ანრიცხვების ნორმა ძირითადი საშუალების სრულად დგენაზე	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის წლიური ოდენობა %	საბალანსო ფაქტობრივი მდგომარეობით %	საბალანსო ბუღალტრული მდგომარეობით %	ბუღალტრული ცვეთა	ლარი	ქონების სადგილსამყოფელი ჭეშმარიტი ღირებულების გათვალისწინებით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი

20 წლის ----------

საწარმოს დასახელება ----------

N	ძირითადი აქტივის დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის (გამოშვების) წელი	საწყისი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე	ცვეთა გადაფასებამდე		გადაფასების კოეფიციენტი	საწყისი საბალანსო ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
				%	ლარი					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

კომისიის შემადგენლობა: ----------

შექმნილი 20 წ ------- ---------- № ----------

აფუძველზე, რომელმაც დაათვალიერა ----------

----------(ძირითადი საშუალების დასახელება)

და აღმოჩნდა, რომ ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს შემდეგის აფუძველზე:

1. ექსპლუატაციაში შესვლის (გამოშვების) წელი: ----------
2. საწყისი საბალანსო ღირებულება: ----------
3. ძირითადი აქტივის ტექნიკური მდგომარეობა და ლიკვიდაციის მიზეზი:

ა) ----------; ბ) ----------; გ) ----------

ომისიის დასკვნა: ----------

კომისიის წევრები:

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------

ვამტკიცებ:

კომისიის თავმჯდომარე ----------

ბ.ა.

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის შედეგების გამოთვლა

დანახარჯების ლიკვიდაცია			ლიკვიდაციის შედეგად მიღებული			
დოკუმენტაციის დასახელება	დანახარჯების ჩამოთვლა	თანხა (ლარი)	დოკუმენტაციის დასახელება	ფასეულობათა სახეები	რაოდენობა	თანხა (ლარი)
1	2	3	4	5	6	7

ლიკვიდაციის შედეგის საერთო თანხა: ---------- (----------) ლარი
ლიკვიდაციის შედეგი: ----------
მთავარი ბუღალტერი ---------- „ -----” ---------- 20 წელი
კომისიის თავმჯდომარე --------
ბ.ა.